EDG
ENERGY DEVELOPMENT GEORGIA

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“

პასუხი ანონიმურ წერილზე, საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს დანართის ნომრით: 1343

კომპანია შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ სახელით მოგახსენებთ რომ: ვფიქრობთ თქვენი მომართვის წერილი გადაჭარბებულია იმ თვალთახედვით, სადაც ნათქვამია რომ: „პროექტი ამ ხეობას დიდ ზიანს მოუტანს და არა მარტო ხეობას, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები, რჩება უწყლოდ“. აღნიშნული არ შეესაბამება რეალობას, რაც დასტურდება ჩატარებული მრავალმხრივი კვლევებით, რასაც დეტალურად შეგიძლიათ გაეცნოთ სურები 2 ჰესის გზშ (გარემოზე ზემოქმედების შეფასების) ანგარიშში.

აქვე განვმარტავთ, რომ წერილში ხსენებული ხელმომწერი მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობა („ერთხელ 380 შემდეგ 200 მცხოვრების ხელმოწერით და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით“) საეჭვოა, რომ წარმოადგენს ადგილზე მუდმივად მაცხოვრებელ და ჩაწერილ ადამიანებს.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები გამოხატულია ზემო და შუა სურების ფონდის შექმნის სახით, რომელიც აერთიანებს სოფლების მაცხოვრებელთა თითქმის სრულ უმრავლესობას დამფუძნებლებისა და წევრების შემადგენლობით.